

საგაზეთო



საერთო უკრაინული პარასკევი 31 მარტი 2006 №71 (2693)

ფასი 50 თეთრი

ანდრეი ჩელსენკო? ტყუილი, რომელიც მართალი უნდა იყოს



გადაწყდა, ანდრეი შევჩენკო ზაფხულში „მილანიდან“ „ჩელსიში“ გადავა! — წერს გუმბინდელ „სანში“ უკრაინული სტი ტონი ლიტლი.

რა შეიძლება ითქვას შევჩენკოსა და „ჩელსის“ თემის მორიგ ამოხეთქვაზე? ის, რომ ერთი მხრივ, ოფიციალური არაფერია, მეორე მხრივ კი, „სანი“ ტყუილებს არ წერს. წერილის თანახმად, გარიგების ფასია 25 მილიონ გირვანქას პლუს ერნან კრესპო.

სხვათა შორის, „სანისთვის“ საწარმოებიდან ცნობილი იყო, რომ გასული წლის ბოლოს რომან აბრამოვიჩი ლონდონში შევჩენკოს აგენტ ფაბიო პარესის შეხვდა და მათი საუბარი წერტილის გარეშე დასრულდა. ზშირად დაწერილა, რომ რუსი მილიარდერი და უკრაინელი ფეხბურთელი მეგობრობენ, თუმცა თავად შევჩენკო ნიადავ იმას აცხადებს, რომ „მილანიდან“ არსად წასვლას არ აპირებს.

„შევჩენკოს დაყოლიებას ხუთი თვე დასჭირდა“ — წერს ლიტლი.

დაბოლოს, „სანის“ ცნობით, „ჩელსის“ თავისი სახელფასო სტრუქტურის სერიოზული გადახედვა მოუწევს, რადგან ანდრეი შევჩენკომ შეთანხმების თანახმად, კვირაში 150 ათასი გირვანქა უნდა მიიღოს.

შევჩენკომ კი გუმბინ კიდევ ერთხელ უარყო „ჩელსიში“ გადასვლის ამბავი.



უეფა? აუფ!

უალკე არ ხუმრობს, თამაშობს



მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ათიანი ქართველივით გახსნილია სტივენ ჯონსის სურვილები და დარიგებები



...ქართველები ძალიან გახსნილი და მხიარული ხალხი ხართ. არ გიჭირთ ადამიანებთან საერთო ენის გამოჩენა. სულ ხუმრობთ...

...ამბობენ, ინგლისს ჯონი უილკინსონმა მოაგებინა მსოფლიოს თასიო, მაგრამ ეს ამკარად ცალმხრივი შეფასებაა. ინგლისს ყველა რგოლში ჰყავდა ვარსკვლავები, რომლებიც 1999 წლიდან ერთად მოდიოდნენ და შეთამაშების პრობლემაც არ ჰქონდათ. რაგბში ერთი კაცი ვერ მოიგებ თამაშს და, მით უმეტეს, ტურნირს...

...უილკინსონი უდავოდ საუკეთესო დამრტყმელია, მაგრამ მე სულ სხვა ტიპის 10 ნომრები მომწონს. უილკინსონზე წინ დავაყენებდი ავსტრალიელ სტივ ლარქემს. ის გაცილებით საინტერესო და მრავალფეროვნად თამაშობს...

...კარგი გუნდი გყავთ. ქართველები ძალიან ძლიერი მორკინალები არიან, რომელთაც თუნდაც აქ, საფრანგეთში, დიდ პატივს სცემენ და სერიოზულ მორაგებებად თვლიან. ჩემი აზრით, მსოფლიოს თასზე გასვლა არ უნდა გაგიჭირდეთ...

...სწორი მიმართულებით მიდიხართ. თამაშიცით, სარაგბო კულტურა გაქვთ და მონდომებაც არ გაკლიათ. თუ ინფრასტრუქტურას განავითარებთ, ევროპას მართლა ძლიერ ნაკრებს შემატებთ. მოკლედ, მომავალი გაქვთ და ყველაფერი თქვენს ხელთაა...

ინტერვიუ სტივენ ჯონსთან იხილეთ მეთოთხმეტე გვერდზე

რეკორდსმენი გიგიაძე: ლოპაია დაჰინდა, თორაძე...



გიგიაძე გიგია

ქინქლაძის ნაჲნი არ ხუმრობს ნასიცხარაბა ბოგუაჲ უნდა ითაგაჲოს

რუსეთის ჩემპიონატის წინა ტურში არ უთამაშოათ გოგიატა გოგუას და გიორგი ქინქლაძეს, ამ უქმეებზე კი მათ ვინძლო უქმობა აღარ მოუწოთ.

გოგუამ 22 მარტს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ითამაშა და როცა მეორე დღეს ნაღჩიკის „სპარტაკში“ დაბრუნდა, სიცხემ აუწია: ვირუსი ისეთი ვერაგი აღმოჩნდა, რომ ექიმებმა ის მხოლოდ ხუთ დღეში ჩააცხრეს გოგიატამაც გუშინწინლა განაახლა ვარჯიში. რუსული პრემიერლიგის მესამე ტურში, 2 აპრილს ნაღჩიკის „სპარტაკი“ მოსკოვის „ლოკომოტივის“ სტუმრობს და გოგუა, ალბათ, ითამაშებს.

რაც შეეხება რუბინელ ქინქლაძეს, მას ნეკნის ტრავმა ისე გაუმიხეზდა, რომ თითქმის ერთი კვირა ვერ ვარჯიშობდა. ექიმებმა გიორგის დღეიდან დართეს ნება, გუნდთან ერთად ივარჯიშოს.

ნიბა ჯორჯაძე

უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში მასილ ბიბინაძემ პენალტით გამარჯვების გოლი გაუტანა „ზაკარპატიეს“. ამით ქართველი ფორვარდი შტატიან პენალტისტებს, სერგეი რებროვს და ოლეგ მატვეევს გაუთანაბრდა — უკრაინის ჩემპიონატში სამივეს 19-19-ჯერ აქვს უმაღლესი საფეხბურთო სასჯელი ზუსტად შესრულებული, ოღონდ თანარეკორდსმენებისგან განსხვავებით, გიგიაძემ საამისოდ 19 დარტყმა იკმარა და ჯერ უკრაინაში პენალტი არ გაუცუდებია. თუმცა ქართველმა ფორვარდმა უკრაინელ ჟურნალისტებს და სტატისტიკოსებს არითმეტიკა დაუნუნა...



— თქვენ არასწორი ინფორმაცია გაქვთ. ზუსტად ვიცი, რომ „ზაკარპატიესთან“ მეოცე თერთმეტმეტრიანი დავარტყი და მეოცედ გავიტანე. ასე რომ, თანარეკორდსმენი კი არა, რეკორდსმენი ვარ.

— კეთილი. მაგრამ საოცარია, როგორ ახერხებთ? ნუთუ არასოდეს გაგიცუდებიათ პენალტი?

— მხოლოდ ამხანაგურ შეხვედრებში. ამ ზამთარს საკონტროლო შეხვედრაში რუსულ „ლუჟ-ენერჯის“ ვერ გაუუტანე, არცთუ ძლიერად დავარტყი და გიორგი ლომაიამ მოიგერია. იმ მომენტში თანამემამულე დავინდე, არ მინდოდა, მეწყენინებინა... ეს რომ ოფიციალური შეხვედრა ყოფილიყო, პირობას გაძლევეთ, ლომაიას შანსს არ დავუტოვებდი.

— საქართველოს ნაკრებშიც განდობენ პენალტის დარტყმას?

— ჯერ ერთხელაც არ მომცემია შანსი. როგორც ჩანს, ბიჭებმა არაფერი იციან ჩემი უკრაინული მიღწევების შესახებ, თავად კი არაფრის თქმას არ ვაპირებ. დამეთანხმებით, არაკორექტული იქნე-

ბა, საკუთარი ბომბარდირული მიღწევებით ვიტრაბახო.

— ზედიზედ ორი მოგების მიუხედავად, „კრივბასს“ მოღუნების უფლება არ აქვს. მეთანხმებით?

— რა თქმა უნდა. ბრძოლა გადარჩენისათვის ჯერ არ დასრულებულა და ალბათ ბოლო ტურამდე გაგრძელდება. არ ღირს კონკურენტთა შედეგებზე ყურადღების გამახვილება, უნდა გავიღეთ მოედანზე და ნებისმიერ შეხვედრაში გამარჯვებისთვის ვიბრძოდლოთ.

— მიმდინარე ჩემპიონატში უკვე რვა გოლი გაიტანეთ. კიდევ რამდენი გაქვთ „გეგმაში“?

— კარგი იქნება, თუ ათ გოლზე მეტს გავიტან, მაგრამ თუ არ გამოძივა, არც ესაა ტრაგედია.

— თქვენი აზრით, ვინ გახდება მიმდინარე ჩემპიონატის ბომბარდირი — ბრანდაო, კოსირინი თუ ვინმე სხვა?

— ფსონს ბრანდაოზე ჩამოვალ — „მახტარის“ ბრაზილიელი სნაიპერი კონკურენტებზე უკეთეს ფორმაშია, ეს კი თავდამსხმელისთვის გადამწყვეტი ფაქტორია.

**სიასლე
ჯეოსელისგან
ჭათ-მიქსი!**



wap.geocell.com.ge

GEO *123#
ჭათ MIX მიქსი

აკხიფატი

საქართველოში
საუკეთესო
მედიაციის სერვისები

LIVE

SCORE

ფერისსვალეა ადრიანოს დანახვაზე

ინტერი (იტალია) 2:1 მილიანო (ესპანეთი)
 0:1 ფორლანი (1), 1:1 ადრიანო (7), 2:1 მარტინსი (54)
ინტერი: ტოლდო, ხ. დანტი, კორდობა, სამუელი, ვიგე სტანკოვიჩი (კილი გონსალესი 82), ვერონი, კამბიასო, სენა (მატერაცი 69), ადრიანო, რეკობა (მარტინსი 28)
მილიანო: რობერტო მანინი
მილიანო: ვიერა, ხავი ფენტა, გონსალე, პენა, სორინი, რიკელმე, არზო (კიკე ალვარესი 60), სენა, კალესა (კაზორლა 87), ფორლანი, ხოსე მარი (ფრანგო 76)
მილიანო: მანუელ პელეგრინი
 გაფრთხილება: რეკობა, სორინი, სენა, სამუელი, ვერონი
 მსაჯი: ალან ხარსი (საფრანგეთი)
 65 000 მაყურებელი

„ინტერი“ მანქანაა. ადრიანოც მანქანაა, ოღონდ, როგორც ყველა მძღვერ მქანაზე, ჯერ გახურება სჭირდება, სრულფასოვნად რომ იმუშაოს. ასეთი რამ „ვილიარეალმა“ შეძლო — ესპანელებმა „სან სიროზე“ მილანური გრანდი პირველ წუთზე გატანილი გოლით შეახურეს. ხოსე მარი სამუელს და ვომეს დაუსხლტა და კარში დაარტყა. ტოლდომ ბურთი მოიგვრია, თუმცა დიეგო ფორლანმა დაამატა და ტაბლოზეც 0:1 აიწყო.

შეხურებული „ინტერი“ მაშინვე შეტევაზე გადავიდა და დიდი ლოდინი არ დასჭირდა — მეშვიდე წუთზე, იერიშებით წონასწორობა დაკარგულმა ხუან მანუელ პენამ „ვილიას“ საჯარიმოში თამაშის წესი დაარღვია და ამის მერე ადრიანომ შეაგდო. ანგარიში გათანაბრდა, თუმცა მასპინძლებს შეტევები არ შეუწყვეტიათ.

„ინტერის“ მთავარი იარაღი შეტევაში მარჯვენაფლანგელთა კარგი თამაში იყო — იტალიელთა ფორ-

ვარდებმა „ვილიარეალის“ დაცვის მარცხენა ფრთას სისხლი გაუშრეს. დანტი და სტანკოვიჩი მეტოქის საჯარიმოზე თავისუფლად დასერილობდნენ და სტუმრებს გაუმართლათ, მასპინძელმა გუნდმა მეორე გოლი მალევე რომ არ შეუგდო. „ვილიას“ მცირერიცხოვან იერიშებს კი ხუან რომან რიკელმე მეთაურობდა, სტუმართა გუნდის ყველაზე გამოჩენილი ფეხბურთელი.

შესვენების შემდეგ რობერტო მანინის ბიჭები ვიერას საჯარიმოს კვლავ გააფრთხილეს შეესვენეს და მომხდურებიც დიდ გასაჭირში ჩაკვიდნენ. განსაკუთრებით სახიფათო ისევ ადრიანო გახლდათ. ბრაზილიელმა ორივე ტაიმი ბრწყინვალედ ჩაატარა და „ვილიარეალის“ მცველებსაც მის დანახვაზე ფერი ეცვლებოდა.

იტალიელებმა გამარჯვების გოლი 54-ე წუთზე გაიტანეს — მარტინსმა სტანკოვიჩის შესანიშნავი პასით ისარგებლა და „ინტერი“ დააწინაურა. ბევრს ეცადა რიკელმე თამაშის გათანაბრებას, თუმცა არ-



გენტიანელმა ძლიერად მობურთავე მოწინააღმდეგის მცველებთან ვერაფერი გააწყო. ერთ-ერთი შეტევისას მანინის უკანახეულებმა რიკელმე თავიანთ საჯარიმოში წააქციეს, თუმცა ალან ხარსმა, ფრანგმა არბიტრმა, რატომღაც პენალტი არ დანიშნა.

დარჩენილ დროში მოედანზე მას-

პინძლები ბატონობდნენ. ადრიანოს და მარტინსს კიდევ შეეძლოთ გატანა, თუმცა პირველმა მიზანს ააცილა, მეორემ კი ვიერას მოტყუება ვერ მოახერხა. მატჩის მიწურულს პელეგრინიმ, „ვილიას“ მწვრთნელმა, შეცვლაზე კაზორლა შეუშვა, თუმცა ფრეს მისაღწევად ეს საკმარისი არ იყო — მანინიმ მარკო

ლალო ხომერიკი

ლიონი მასივარში იჯდა კარლოს კუპა მონტონა

ლიონი (საფრანგეთი) 0:0 მილანი (იტალია)
ლიონი: კუპე, კლერკი, კრიხი, ვასაპა, აბიდალი, ტიაგუ, მ. დიარა, პედრეტი (კლემანი 68), მალუდა, კარუ (ფრედი 63), ვილტორდი
მილანი: დედა, კოსტაკურტა (მალდინი 62), ნესტა, მალდინი, სერინიო, გატუზო, პირლო (ფოგელი 85), ზედორფი, კაკა, შვეინჯო, ჯილარდინო (ინსაგი 62)
მილანი: კარლო ანჩელოტი
 გაფრთხილება: კოსტაკურტა, ტიაგუ
 მსაჯი: კონრად მლაუცი (ავსტრია)
 40 000 მაყურებელი

შერარ ული: „პირველი ოცი წუთის განმავლობაში „მილანს“ მეტისმეტი მორიდებით ვეთამაშეთ. მეტოქის ასეთმა გადამეტებულმა შეფასებამ ისე გამოაცა, რომ საკუთარ ფეხბურთელებს ვერ ვცნობდი. ვიფიქრე, ხომ არ გაიყინენ მეთქი. შესვენების შემდეგ კი ჩვენი თამაში უფრო ინტენსიური გახდა და საბოლოო შედეგიც ლოგიკური გამოვიდა. მ.ი. საპასუხო თამაშისთვისაც საინტერესო შედეგია. მე-

ოთხედფინალი ასმეტრიან დისტანციაზე ორ დამოუკიდებელ გარბენს ჰგავს. პირველი უკვე დავასრულეთ და ახლა მეორეს ველოთ. მწამს მილანში გოლის გატანაც შეგვიძლია და გაცილებით უკეთ თამაშიც“.

კარლო ანჩელოტი: „თამაში ძალიან კარგად დავიწყეთ და პირველი ოცი წუთში გოლიც უნდა გაგვეტანა, მაგრამ შემდეგ „ლიონი“ გონს მოეგო და გადაგვძალა, თუმცა ამის მიუხედავად რეალური საფრთხის

წინაშე ფაქტობრივად არ ვმდგარვართ. საერთოდ, ეს გახლდათ მშვენიერი მატჩი ორ სწრაფ და ფეხსახერხებულ პრინციპით მოთამაშე გუნდს შორის. ჩვენ ლიონში საუკეთესო ფეხბურთის სათამაშოდ ჩამოვედით და ასეც მოვიქცით, მასპინძელთა მეკარე გრეგორი კუპე კი საუცხოოდ ასრულებდა თავის საქმეს. ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსი აქვს ორივე გუნდს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ მცირე უპირატესობა ჩვენს მხარესაა“.

შეგახსენებთ, რომ „ლიონს“ აგერ უკვე ორი სეზონია ნახევარფინალში ხან „ეინდჰოვენს“ არ უშვებს, ხან „პორტუ“ და ახლაც, „მილანთან“ მატჩის საწყისი ოცი წუთის შემყურე ფრანგ ქომაგებს ეგონათ, რომ მათი მორიგი გავარდნის ამბავი პირველივე შეხვედრაში გადაწყდებოდა, მაგრამ კუპემ ამ პერიოდში მარტო შეეჩინეს აულო სამი დარტყმა და შემდეგ „ლიონმა“, როგორც მოგახსენებთ, საერთო მდგომარეობაც გამოასწორა. და კიდევ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფრანგებს ამ შეხვედრაში აკლდათ დისკვალიფიცირებული ბრაზილიელი ვარსკვლავი და ლიდერი ჟინინიო პერნამბუკანო.

ოცი წუთის შემდეგ მასპინძლები გამოფხიზლდნენ: ჯერ ფლორენ მალუდამ გაინავარდა 40 წლის ბილი კოსტაკურტას ფრთაზე, მაგრამ შემდეგ მალა ჩააწოდა, შემდეგ კი იონ კარუემ ოდნავ წაკრა ჩაკი-




დებულ ბურთს თავი და დიდას აკრობატული ნახტომი რომ არა, ალბათ გოლი გავიდოდა.

იყო სხვა მომენტებიც, რომელთა სიტყვიერ აღწერას მოვერიდებით,

უბრალოდ ვიტყვი, რომ ამ სეზონში „ლიონისთვის“ ეს მატჩი გახლდათ მესამე, რომელშიც გოლი ვერ გაიტანა...

ბაპუნა კედი

ინგლისელი ინგლისისთვის ალარდაისის თვითრეკლამა



ინგლისის ნაკრების თავაჯობის ერთ-ერთი კანდიდატი სემ ალარდაისი ირწმუნება, რომ ეროვნულ გუნდს, მასზე უკეთესს ვერავის ჩააბარებენ. მოგესვენებათ, იგი „ბოლტონის“ მწვრთნელია და უკვე არაერთი სეზონია „რიობის“ ბინადრებს პრემიერლიგაში საქმალ წარმატებით ათამაშებს. ალარდა-

მაშინ სწორი იყო, მაგრამ ახლასხვა ვითარებაა, ინგლისის ინგლისელი უნდა წვრთნიდეს. აქვე მინდა ვთქვა, რომ არ მეგულება არც ერთი აქაური სპეციალისტი, რომელსაც იმდენისთვის მიეღწიოს, რაც მე შევძელი. არ გეგონოთ, თავს ვიქებ. უბრალოდ, ფაქტებზე ვსაუბრობ. იმ პირობებში, რომელიც ჩვენს კლუბს აქვს, ვფიქრობ, მაქსიმალურ შედეგს მივაღწიე“ — აღნიშნა ალარდაისმა.

შეგახსენებთ, რომ ალარდაისის გარდა კიდევ ერთი ინგლისელი კანდიდატი ალან კერბიშლია. იგი ასევე პატარა კლუბს, „ჩარლტონს“, უკვე მერამდენე სეზონია, არცთუ ურიგოდ ათამაშებს პრემიერლიგაში და ინგლისელი ქომაგებიც თითქოს უფრო მისკენ იხრებიან. საუბრობენ, პოლანდიელ გუს ჰიდინკზე და შოტლანდიელ მარტინ ონილზეც.

სემ ალარდაისი: „ჩელსი“ ტრანსფერებში 270 მილიონი გირვანქა დახარჯა. მე რომ ამდენი ფული მიქონოდა, „ბოლტონს“ სულ ცოტა, ყოველ სეზონში ინგლისის ჩემპიონად ვაქცევდი და უფრო დიდ წარმატებებსაც მივალწვედი. იმედი მაქვს, თუ გუნდს ოთხეულში გავიყვან და ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოვუტან, ნაკრების მწვრთნელობის მეტი შანსი მექნება.“

კოკი ბანდელაძე



მიფურთხებულის გადასვლა

დანის ნაკრებისა და „შალკეს“ ნახევარმცველი კრისტიან პოულსენი მომავალ სეზონში „მილანში“ ითამაშებს. იტალიური გაზეთების ცნობით ამ საქმის გასაჩარხად მილანელებს „ვილიარეალიდან“ დალაპარაკება დასჭირდათ, ვინაიდან პოულსენის იურადიული მებატონე სწორედ ხსენებული ესპანური გუნდი გახლავთ.

პოულსენის სახელი აპენინურ პრესაში პირველად ევრო 2004-ის დღეებში გაიშა, როდესაც დანია—იტალიის შეხვედრაში მას ფრანკოსკო ტოტიმ შეაფურთხა. „ვილიარეალიდან“ მის გამოსყიდვას კი 1 200 000 დოლარი დასჭირდა, რომელიც თავად მოთამაშეს გადაუხდია, მაგრამ თანხას „მილანი“ დაუფარავს. როგორც მიმომხილველები წერენ, პოულსენი მასიმო ამბროზინის შემცველი იქნება, ხოლო ამბროზინი „იუვეში“ ან „რეალში“ შეიძლება გადავიდეს.

ამბობენ, რომ დანიელი სელფასი იგივე თანხა იქნება, რაც მან თავის გამოსასყიდად გადაიხდა.

ბაბუნა კელია

უნაპუსო ტელეფონით იბორო მალაგა და რეალი ერთ ქაზარში მოხარულ

სამუელ ეტოომ „ელ მუნდო დეპორტივოსთან“ „ბარსაში“ ტიერი ანრიის შესაძლო მისვლაზე, სატრანსფერო რიარიაზე და, რა თქმა უნდა, „რეალთან“ მომავალ ჯახზე ისაუბრა. „მადრიდელებთან გოლის გატანა ჩემი საქმეა“ — თქვა აფრიკელმა ფორვარდმა, რომელმაც სამეფო გუნდს 15 თამაშში 10 გოლი შეუგდო. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ფეხბურთის „ელ კლასიკომდე“ თითქმის აღარაფერია დარჩენილი — „ბარსა“ — „რეალის“ ომი ხვალ გაიმართება



— არასდროს არ მეშინოდა მადრიდის „რეალის“. მათ მხოლოდ პატივს ვცემ, ისევე როგორც მაგალითად „მალაგას“, ან კიდევ ნებისმიერ გუნდს, რომელსაც შევხვედრივართ. „რეალს“ ისევე ვაფასებ, როგორც წლების წინათ, ჩემთვის ეს გუნდი არ იცვლება.

ბით იბრძვით, ვიდრე სხვა მეტოქესთან? რაიმე განსაკუთრებული მოტივაცია თუ გაქვთ?
— არავითარი მოტივაცია, ალბათ ღმერთს უნდა „რეალის“ წინააღმდეგ სულ კარგად ვითამაშო და კასილიასის კარში გოლებიც ამიტომ გამაქვს.
— „რეალის“ მეკარე ახსენეთ.

თქვენს ყოფილ თანაგუნდელთან, კასილიასთან, როგორი ურთიერთობა გაქვთ?
— შვენიერი ურთიერთობა მაქვს. ამას წინათ დამირეკა და გამეხუშრა, ასე უნაძუსოდ სადამდე უნდა მომექცე, ჩემთან ყოველთვის გოლები რად გაგაქვსო. იკერს ახალგაზრდული გუნდიდან ვიცი, ვიცი, რომ

ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი მეკარეა და ვცდილობ, მის კარში რაც შეიძლება, ზუსტად დავარტყა.
— სპორტულ მედიაში, განსაკუთრებით ინგლისურში, ეტოოს მსურველ უცხო კლუბებზე ძალიან ბევრს წერენ...
— ამას ნორმალურ მოელენად ვთვლი. მიხარია, როდესაც ევროპის საუკეთესო კლუბების წარმომადგენლები მიკავშირდებიან. ესე იგი „ბარსელონაში“ ჩემს სამუშაოს კარგად ვასრულებ... თუმცა უახლოეს მომავალში არსად წასვლას არ ვაპირებ. ჩემი მიზანი „ბარსელონაში“ დარჩენაა.
— მომავალ სეზონში „კამპ ნოუზე“ შესაძლოა ტიერი ანრიმაც ითამაშოს. მძიმე კონკურენცია ხომ არ გემუქრებათ?
— ანრიზე შეკითხვებმა უკვე თავი მომახეზა. ტიერი ჩემი საუკეთესო მეგობარია, „ბარსაში“ წარმატებებს ვუსურვებ და კარგი იქნება, თუ მისი ჩამოსვლით არ დამემუქრებით...
— ესპანეთის ჩემპიონობა ჯერ არ მოგივიათ, თუმცა, ეტყობა, ტიტული „ბარსას“ არ ასცდება. ეტოო როგორ აპირებს გამარჯვების აღნიშვნას? შარშან ინჩასებით გადატვიდლ „კამპ ნოუზე“ „რეალს“ სახალხოდ ნაბიჭვრები უწოდეთ...
— დარწმუნებული იყავით, არც წლეულს და არც მომავალში მსგავსი რამ აღარ განმეორდება.
— მაშინდელი ზედმეტი ენაწყლიანობა ხომ არ გინანიათ?
— არა, ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ. მიუხედავად იმისა, რომ იმ სიტყვების შემდეგ საგანგებო პრესკონფერენციის მოწვევა მომიხდა, „კამპ ნოუზე“ ნათქვამს კატასტროფად არ ვთვლი.

Table with multiple columns showing time slots (1, X, 2, 1-X, 1-2, X-2) and program details for various channels.

Table titled 'ასოფლიოს თასი 2006 9 ივნისი' (Rural Cup 2006 June 9) listing participants and scores for various categories.

Table titled 'ასოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფი I ადგილი' (Rural Cup 2006 June 9. Group I 1st place) listing participants and scores for categories A through H.

Table titled 'რამდენი ბოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)' (How many balls in the match (main time) (less than 2.5 - more than 2.5)) listing match numbers and scores.

Table titled 'გაიტანს თუ არა (ორივე გუნდი მატჩში ბოლს (ძირითადი დრო) კიბრა)' (Will they score (both teams in the match) (main time) corner) listing match numbers and scores.

Table titled 'რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 ფაზისთვის შემთხვევაში, ორივე მხარე ზამთარს იხილავს)' (Which team will score in the match (in case of 0-0 phase in the match, both sides watch winter)) listing match numbers and scores.



